პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის
სამინისტროსა და პროფკავშირთა საქართველოს
რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Министерства здравоохранения ГССР
и Грузинского Республиканского Совета
профсоюзов

გამოცემის მე-10 წელი

№ 28 (780) | ოთხშაბათი, 7 აპრილი, 1954 წ. | ფასი 80 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა საპატიო საქმე

Კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვით საბჭოთა ფიზკულტურა და სპორტი უმაგალითოდ განვითარდა. საბჭოთა სპორტსმენებმა მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს, საგრძნობლად ჩამოიტოვეს უკან ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა წარმომადგენლების შედეგები, დაამყარეს მსოფლიოს რეკორდები, მოიპოვეს მსოფლიოს ჩემპიონობა. დაოსტატებისაკენ მუდმივი სწრაფვა, ტექნიკისა და ტაქტიკის სრულყოფისათვის ზრუნვა, მაღალი მორალური თვისებები, კეთილშობილება, პატრიოტიზმი—ყოველივე ეს საბჭოთა სპორტსმენებისა და ფიზკულტურელების დამახასიათებელი თვისებაა.

ბურჟუაზიული სპორტი თავისი მანკიერი ჩვევებით — ყალთაბანდობით, [illegible], შანტაჟით, ადამიანის [illegible] დაცემით და ფიზიკური დამახინჯებით, — უცხოა ჩვენთვის. სოციალისტურ სამშობლოში სპორტი მშრომელთა მასების ჯანმრთელობის განმტკიცებას, ფიზიკურ წრთობას, მაღალი მორალური და სულიერი თვისებების გამომუშავებას ემსახურება. ყოველ საერთაშორისო შეჯიბრებაში ამაყად ფრიალებს საბჭოთა ალამი და ჩვენი სპორტსმენები საერთო ყურადღებით, პატივისცემით სარგებლობენ.

საბჭოთა მშრომელებს უყვართ თავიანთი სპორტსმენები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა ასახელონ სოციალისტური სამშობლო. ფიზკულტურა და სპორტი საერთო, სახალხო საქმედ იქცა და იგი ღრმად შეიჭრა მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ფიზკულტურა და სპორტი მწერლისთვის, მხატვრისათვის, მოქანდაკისა და კომპოზიტორისათვის მეტად მიმზიდველი და მრავალფეროვანი თემაა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კეთილშობილურმა თემამ დღემდე ჯეროვანი გამოხმაურება ვერ ჰპოვა ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შემოქმედებაში.

ჩვენი გაზეთის გასული წლის 1-ლი მარტის ნომერში დაიბეჭდა რესპუბლიკის მოწინავე ოსტატების წერილი საქართველოს მწერლების, მხატვრებისა და კომპოზიტორებისადმი. წერილში აღნიშნული იყო: „ჩვენი თხოვნაა თქვენდამი — ხელი მოჰკიდოთ საბჭოთა ფიზკულტურასა და სპორტზე მხატვრული ნაწარმოებების, ტილოებისა და სიმღერების შექმნას. სწერეთ მოწინავე, გამოჩენილ სპორტსმენებზე, სწერეთ იმ დიდ მუშაობაზე, რომელიც სწარმოებს ჩვენი ეპოქის ღირსი, ჯანთმაგარი ადამიანის აღსაზრდელად, ზოგიერთი სპორტსმენის შეგნებაში კაპიტალიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად. სიტყვას გაძლევთ, რომ ჩვენ ყველაფრით დაგეხმარებით, ხელს შეგიწყობთ რჩევა-დარიგებით, მითითებებით, გაგაცნობთ, თუ რითი ცხოვრობენ და სუნთქავენ ჩვენი სპორტსმენები და ფიზკულტურელები“. სამწუხაროდ, რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენთა წერილს დუმილით უპასუხეს მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირმა. მათ ყურად არ იღეს სპორტსმენების თხოვნა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის მწერლები და კომპოზიტორები ყველა შეჯიბრების აქტიურ მაყურებლებად ითვლებიან, მაგრამ, რატომღაც, არ სურთ უფრო ახლო გაეცნონ, დაუახლოვდნენ ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა ცხოვრებას და მათი მჩქეფარე საქმიანობა ასახონ ლიტერატურულ ან მუსიკალურ ნაწარმოებებში. ყოველივე ეს რასაკვირველია, ადვილი არაა. მაგრამ როდის იყო, რომ ჭეშმარიტი შემოქმედი სიძნელეებს გაურბოდა, უკან იხევდა? პირიქით, სწორედ ისეთი ნაწარმოები გახდება ხალხისათვის ხელმისაწვდომი, გასაგები და საყვარელი, რომელიც შექმნილია ოსტატის ხელით, გულმოდგინე, ხანგრძლივი მუშაობით.

ფიზკულტურისა და სპორტის თემა თავიანთ შემოქმედებაში ჯეროვნად ასახეს საქართველოს მხატვრებმა. ეს ნათლად დაადასტურა ამას წინათ გახსნილმა საქართველოს მხატვრების 1954 წლის გამოფენამ. აქ ექსპონირებულია რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენების ბიუსტები, მხატვრული ტილოები, რომლებიც შესრულების ოსტატობით მნახველთა ყურადღებას იპყრობს. მაგრამ საჭიროა ისიც ითქვას, რომ ჩვენი მხატვრები ზედმეტად გატაცებული არიან სპორტის ნაციონალური სახეობებით. კარგი იქნებოდა, რომ მათ ასევე გულმოდგინედ აესახათ სპორტის კლასიკური სახეობებიც.

ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებს დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი მასობრიობის, სპორტსმენთა ტექნიკის განუხრელი ამაღლების საქმეში. მათ მიერ შექმნილი მხატვრული ნაწარმოებები, სიმღერები, ქანდაკებები და ფერწერული ტილოები უფრო გაზრდიან ფართო მასების ინტერესს სპორტისადმი, რის შედეგადაც გაიზრდება თანრიგოსანთა და რეკორდსმენთა რიგები, ხალისიანი, სისხლსავსე გახდება ძირეული ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობა.

რესპუბლიკის ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა საპატიო ამოცანაა, თავიანთი წვლილი შეიტანონ საყოველთაო-სახალხო საქმეში — ფიზკულტურისა და სპორტის ღრმად დანერგვასა და მის შემდგომ განვითარებაში.

☆

თასი მესამედ მოიპოვეს

თბილისის, ბაქოსა და ერევნის გოგონებისა და ჭაბუკ მოცურავეთა პირველი შეჯიბრება 1952 წელს ჩატარდა თბილისში, ხოლო გასულ წელს ბაქოში. ორივე შეხვედრაში გამარჯვებული გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები.

წელს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა შეჯიბრებაზე დაუშვა სოჭის მოცურავეთა გუნდიც, რომელიც რსფსრ-ს 1953 წლის ჩემპიონია ჭაბუკთა და გოგონათა შორის. ამიტომაც ოთხი ქალაქის ახალგაზრდა მოცურავეთა შეჯიბრებამ, რომელიც თბილისის „დინამოს“ ზამთრის საცურაო აუზში ჩატარდა მრავალი მაყურებელი მიიზიდა.

პირველი დღე შერჩევით შეჯიბრებას მიეძღვნა, მეორე და მესამე დღე — ფინალურ გაცურვებს. შეჯიბრება ტარდებოდა როგორც საშუალო ისე უფროსი ასაკის გოგონებისა და ჭაბუკებისათვის სხვადასხვა სტილით ცურვაში.

შეჯიბრების შედეგად საერთო პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვეს თბილისის მოცურავეებმა, მეორეზეა ბაქოს, მესამეზე — ერევნელი ნორჩი სპორტსმენები.

საბჭოთა ძალოსნების ჩასვლა ეგვიპტეში

პირველ აპრილს ქაიროში ჩავიდა საბჭოთა კავშირის ძალოსანთა დელეგაცია 22 კაცის შემადგენლობით.

ქაიროს აეროდრომზე საბჭოთა სპორტსმენებს შეხვდნენ ფიზიკური კულტურისა და ძალოსანთა ნაციონალური ფედერაციის გენერალური მდივანი და საერთაშორისო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი ა. რადი, ეგვიპტის სპორტული ორგანიზაციისა და საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლები.

საბჭოთა სპორტსმენები ეგვიპტის ძალოსნებთან ჩაატარებენ სამ ამხანაგურ შეხვედრას. ისინი ქაიროში, ალექსანდრიასა და ტანტეში შეეჯიბრებიან ეგვიპტის საუკეთესო ძალოსნებს.

მსროლელთა წარმატება

ლენინგრადში დამთავრდა ტრადიციული შეჯიბრება მრგვალ სტენდზე სროლაში. სპორტის ოსტატმა ნ. შორინამ („ისკრა“) პირველ სერიაში დაამყარა ახალი საკავშირო რეკორდი: 25 შესაძლებლიდან დააზიანა 20 სამიზნე, მაგრამ ორი საათის შემდეგ შორინას რეკორდი გააუმჯობესა სპორტის ოსტატმა კ. სმირნოვამ („სპარტაკი“). მან 25 შესაძლებლიდან დააზიანა 23 სამიზნე. ორი და ოთხი სერიის ჯამში მანვე დაამყარა ორი ახალი საკავშირო რეკორდი. 50 შესაძლებლიდან დააზიანა 38, ხოლო 100-დან — 88.

ახალი საკავშირო რეკორდი დამყარებული იქნა აგრეთვე ლვოვში. აქ დიდ წარმატებას მიაღწია კომკავშირელმა სპორტის ოსტატმა ვ. ნასონოვმა: მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან სილუეტებზე სწრაფსროლაში მან დააზიანა ყველა 60 სამიზნე და 583 ქულა მოაგროვა, რაც ახალი საკავშირო რეკორდია. ძველი რეკორდი, რომელიც მასვე ეკუთვნოდა 577 ქულას უდრიდა.

საპატიო წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ბრძანებით საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: სასტენდო სროლაში ბ. ანტონოვს, ი. საგანელიძესა და დ. სიმონიანს (მონკავშირი, თბილისი).

საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: კ. ასტახიშვილს—თხილამურებში („მედიკი“, თბილისი) და პ. იოსელიანს — წყალბურთში („პიშჩევიკი“, ბათუმი).

ფებრუარში 1954 წლის საკავშირო პირველობის გახსნა თბილისში. **სურათებზე:** (ზევით) მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ კაპიტნები, სპორტის დამსახურებული ოსტატები ნ. დემენტიევი და ა. დოლობერიძე აღმართავენ პირველობის ალამს, (ქვევით) დემენტიევი და დოლობერიძე ერთმანეთს ხელს ართმევენ თამაშის წინ.

შეხვედრის ანგარიში იხილეთ მე-3 გვერდზე.

საბჭოთა მოჭადრაკეები ურუგვაიში

ურუგვაის საჭადრაკო ფედერაციის მოწვევით ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში ჩავიდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები—გროსმაისტერები ავერბახი, ბოლესლავსკი, ბრონშტეინი, გელერი, კერესი, კოტოვი, პეტროსიანი, ტაიმანოვი, ტოლუში, ფლორი და ოსტატი სუეტინი. დელეგაციას ხელმძღვანელობს საბჭოთა გროსმაისტერი, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი რაგოზინი. ამ ორი ქვეყნის მოჭადრაკეები ერთმანეთს შეხვდნენ ამხანაგურ მატჩში.

პირველ ტურში გროსმაისტერმა პეტროსიანმა დაამარცხა კორალი, ბრონშტეინმა — ლინკენი, ბოლესლავსკიმ — მასოერო, ტოლუშმა — ინფანტოსი, ფლორმა — როტუნო, ავერბახმა — კანეპა, ტაიმანოვმა — კოლსტეინსი და სუეტინმა — ეტჩევერი. მწვავე ბრძოლაში გელერმა მოიგერია აგილერის მძაფრი შეტევა და კონტრიერიშზე გადასვლით გაიმარჯვა. კარგად ითამაშა ურუგვაელმა იბარბურუმ, რომელმაც ყაიმს მიაღწია კოტოვთან. ამრიგად პირველი ტურის ანგარიშია 9,5:0,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

მეორე ტურში საბჭოთა გროსმაისტერებმა ყველა შეხვედრა მოიგეს.

საბჭოთა და ურუგვაის მოჭადრაკეთა ამხანაგური შეხვედრა დამთავრდა 19,5:0,5 საბჭოთა მოჭადრაკეების სასარგებლოდ.

მსოფლიოს რეკორდების დამტკიცება

ძალოსნობის სპორტის მსოფლიო ფედერაციამ დაამტკიცა როგორც მსოფლიოს რეკორდები საბჭოთა სპორტსმენების შედეგები: მ. საქსონოვის ორი ხელით ატაცი — 139,5 კილოგრამი, ნ. კოსტილევის ორი ხელით აკვრა — 120,5 კგ და ა. ვორობიოვის ორი ხელით აკვრა — 145,5 კილოგრამი.

მოსკოვისა და ლიტვის გუნდების გამარჯვება

ზამთრის საკავშირო შეჯიბრება კალათბურთში

ლენინგრადის ზამთრის სტადიონზე დამთავრდა სსრ კავშირის ქალ და ვაჟ კალათბურთელთა უძლიერესი გუნდების შეჯიბრება. საინტერესო ბრძოლებით ხასიათდებოდა შეჯიბრების უკანასკნელი დღე.

პირველი ადგილის მოპოვებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსკოვი-ლიტვის, საქართველო-ესტონეთის, მოსკოვი-სსრკ-ს ნაკრებისა და საქართველო-ლენინგრადის შეხვედრებს. მოსკოველებმა ლიტველებს სუსტი წინააღმდეგობა გაუწიეს და დამარცხდნენ (65 : 74). მათივე დამარცხებით დამთავრდა აგრეთვე შეხვედრა სსრ კავშირის ნაკრებთან. საქართველოს კალათბურთელებმა ლენინგრადელებთან შეხვედრაში კარგად ითამაშეს და გაიმარჯვეს. ქართველი კალათბურთელების შეხვედრა ესტონეთთან სპორტულად დაძაბული ბრძოლის ვითარებაში მიმდინარეობდა. გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს გუნდი ლიტვის კოლექტივთან ერთად ქულათა თანაბარ რაოდენობას აგროვებდა. ამიტომ გასაგები იყო თამაშის ის მაღალი ოსტატობა, რომელიც ორივე კოლექტივმა გამოავლინა. თანასწორთა ორთაბრძოლაში გაიმარჯვეს ესტონელებმა. ანგარიშია 55 : 49.

ამრიგად, პირველი ადგილი მოიპოვა ლიტვის კოლექტივმა, მეორე ადგილზე გამოვიდა მოსკოვის, მესამეზე — საქართველოს გუნდები. მომდევნო ადგილებზე არიან ესტონეთი, ლატვია და ლენინგრადი.

ქალთა კოლექტივებიდან უძლიერესის სახელი დაიმსახურა მოსკოვის გუნდმა. საქართველოს კალათბურთელები მე-8 ადგილზე გამოვიდნენ.

* * *

სურათზე: ზამთრის საკავშირო შეჯიბრება კალათბურთში. საქართველოსა და მოსკოვის კალათბურთელთა გუნდების შეხვედრის მომენტი.





335 სუფთა გამარჯვება

მოეწყო თბილისის მოსწავლეთა 1954 წლის პირად-გუნდური შეჯიბრება კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში. მონაწილეობდა 30 საშუალო სკოლის 218 მოსწავლე. ჩატარდა 367 ბრძოლა. აქედან 335 სუფთა მოგებით დამთავრდა. გუნდურ ჩათვლაში, როგორც კლასიკურ, ისე თავისუფალ ჭიდაობაში, პირველ ადგილზე გამოვიდა 41-ე საშუალო სკოლის გუნდი.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველობა მოიპოვეს: უმჩატეს წონაში—მე-14 საშუალო სკოლის მოსწავლემ ი. ძებისაშვილმა, მჩატე წონაში — ვ. გუგუშვილმა, ყველაზე მსუბუქ წონაში — დ. შენგელიამ, (ორივე 41-ე სკოლიდან), მსუბუქში — 37-ე სკოლის მოსწავლემ დ.გვანცელაძემ, საშუალო წონაში — მე-13 საშუალო სკოლის მოსწავლემ რ. ტუხულოვმა, საშუალო წონაში — მე-11 საშუალო სკოლის მოსწავლემ — ე. რევიამ, ქვემძიმეში — ჯ. დავლიანიძემ, მძიმეში მ. კუჭავამ (ორივე მე-17 სკოლიდან).

თავისუფალ ჭიდაობაში წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: ზ. მჭედლიშვილმა, ა. სინჯიკაშვილმა, ე. რევიამ, ვ. კობახიძემ (სამივე 41-ე სკოლიდან), ჯ. დავლიანიძემ (მე-17 სკოლა), ჯ. კუტალაძემ (მე-16 სკოლა), ჯ. ნოზაძემ (მე-16 სკოლა).

ს. ბახტაძე

„ტრუდის" საქალაქო პირველობა ჭადრაკში

ათ დღეს გრძელდებოდა სპორტსაზოგადოება „ტრუდის" ქ. სოხუმის 1954 წლის პირველობა ჭადრაკში.

დაძაბული ბრძოლების შემდეგ პირველ ადგილზე გამოვიდა და ჩემპიონის საპატიო წოდება მოიპოვა ბ. გაბიჩავამ. მეორე ადგილზეა ა. ალიევი.

შეჯიბრება ორგანიზებულად ჩატარდა. ექვსმა მოჭადრაკემ მოაგროვა მესამე თანრიგისათვის საჭირო ქულათა რაოდენობა.

პ. ლეთოდიანი

შეხვედრა სპორტის ოსტატთან

ამას წინათ ქ. სტალინირში მოეწყო ახალგაზრდობის შეხვედრა სპორტის ოსტატ ს. გაბარაევთან.

მოხსენება თემაზე „სპორტი საბჭოთა კავშირში" გააკეთა კომკავშირის საოლქო კომიტეტის ფიზკულტურული განყოფილების გამგემ ვ. ხანიკაევმა.

სიტყვა წარმოთქვა ს. გაბარაევმა, რომელმაც დამსწრეთ გაუზიარა საერთაშორისო შეხვედრების შთაბეჭდილებანი და პირობა დასდო კვლავ ღირსეულად დაიცავს საბჭოთა სპორტის სახელს.

ვ. კასრაძე

ახალი თემა მხატვართა შემოქმედებაში

★

თ. მარგველაშვილი

★

საბჭოთა სპორტსმენების მიღწევებით ხარობს და ამაყობს ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლო. მსოფლიოს მრავალმა ხალხმა იხილა მათი უბადლო ოსტატობა ჰელსინკში, ფინეთში, იტალიაში, შვეციაში, საფრანგეთში.

სპორტი საბჭოთა კავშირში საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა. ამიტომ გასაგებია, ლიტერატურისა და ხელოვნების, კერძოდ სახვითი ხელოვნების მუშაკთა დიდი ინტერესი ამ მრავალფეროვანი საინტერესო თემისადმი.

ეს ნათლად დაადასტურა საქართველოს მხატვრების 1954 წლის გამოფენამ, სადაც მნახველებს იზიდავს სხვადასხვა სპორტულ თემაზე შესრულებული მრავალი ექსპონატი.

საყურადღებოა თავისი შინაარსით მხატვარ გ. გულისაშვილის ფერწერული ტილო „ცხენოსანთა შეჯიბრება". სურათზე ნაჩვენებია დოღი, რომელიც დამახასიათებელია მთიან რაიონებში მცხოვრებ ცხენოსნებისათვის. მხატვარმა სიუჟეტად აირჩია ის მომენტი, როდესაც მონაწილენი ფინიშის მისადგომებთან სძლევენ რელიეფის მხრივ ძნელ გზას. ნახატის დინამიკური კომპოზიცია სრულიად გამართლებულია. ანატომიის დიდი ცოდნითაა ნაჩვენები დაოთხებული ცხენები. მოვერცხლილ-მოოქროსფერო ფერთა გამა სრულ ჰარმონიაშია სურათის განწყობილებასთან.

მხატვარ ს. მაისაშვილს საინტერესოდ აქვს გადაწყვეტილი სურათი „ისინდი". მხატვარმა თემად აირჩია ცხენოსანთა ორთაბრძოლის მწვავე მომენტი. ერთ-ერთი ცხენოსანი უახლოვდება მოწინააღმდეგეს და ცდილობს ისინდის ზუსტი სროლით დაჭრას იგი. მაგრამ აქ შეიძლება საქმე სხვაგვარად შეტრიალდეს: იმ შემთხვევაში თუ მისი ნატყორცნი ისინდი მოწინააღმდეგეს ხელში ჩაუვარდა, მაშინ ის აღმოჩნდება თავდამსხმელის როლში. სწრაფადმქროლავ ცხენზე ხელამართული, ნახევრად შემობრუნებულ მდგომარეობაში ზის მხედარი, რომელიც ცდილობს დაიჭიროს მოწინააღმდეგის მიერ ნატყორცნი ისინდი. წინა პლანზეა ის მხედარი, რომელიც ისინდს იჭერს, ე. ი. რომელზედაც უნდა გამახვილდეს ყურადღება. დამაჯერებლადაა ნაჩვენები სივრცის პერსპექტივა. ნაკლები ოსტატობითაა შესრულებული იმავე ავტორის შინაარსის მხრივ საინტერესო სურათი „ჩოგანბურთი". ნახატის სქემატურობა, პირობითი ფერწერა ადაბლებს ბურთისათვის ბრძოლის მწვავე მომენტის გამომსახველობას.



სპორტის დამსახურებული ოსტატის ა. ჯაფარიძის სკულპტურული პორტრეტი. შესრულებული მოქანდაკე ი. კრაწაშვილის მიერ.

ცხენოსნობას მიუძღვნა თავისი ნამუშევარი აგრეთვე მხატვარმა როინიშვილმა. სამწუხაროდ, სურათი „ცხენოსანთა შეჯიბრება" მოისუსტებს. ძალზედ სტატიკური კომპოზიცია არ ეთანხმება მხატვრის მიერ არჩეულ თემას. ნახატის სქემატურობა და ფერწერული პლანების უქონლობა ამ მდიდარი თემის გაშლას საშუალებას არ აძლევს.

გამოფენაზე ექსპონირებულია აგრეთვე სპორტის ოსტატების ბ. პაიჭაძის, ო. ქორქიას, მ. ჯუღელის გრაფიკული და ფერწერული პორტრეტები (მხატვრები — მეტონიძე, მეტრეველი, კახიძე, ჩიქოვანი).

გამოფენაზე წარმოდგენილ სპორტსმენთა პორტრეტების უმრავლესობა გადაწყვეტილია დიდი მხატვრული ოსტატობით, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი ცალმხრივად გადმოგვცემენ სპორტულ თემატიკას. უფრო საინტერესო, მიმზიდველი და დამაჯერებელი იქნებოდა გვენახა სპორტის ოსტატები უშუალოდ მათთვის დამახასიათებელ მოძრაობებში.

გრაფიკული და ფერწერული ნამუშევრების გარდა სპორტულ თემაზე ფართოდაა წარმოდგენილი სკულპტურა.

„მოკრივეები" — ასე ქვია ახალგაზრდა მოქანდაკის გ. ფირცხალავას კომპოზიციას. კრივის სპეციფიკის დიდი ცოდნით და ჭეშმარიტი ოსტატობითაა გადმოცემული კრივის საინტერესო მომენტი. დამაჯერებელია მოკრივის მოძრაობა, რომელმაც დარტყმა მიაყენა მოწინააღმდეგეს. კუნთებდაჭიმული სხეული თითქოს გაშეშდა. დარტყმის მიმყენებელი მოკრივე ელოდება მოწინააღმდეგის რეაქციას. თუ დააკვირდებით მოკრივის მოძრაობას, ნათლად შეამჩნევთ ფეხების და კორპუსის მდგომარეობას და ხელის მიმართულებას, რომლითაც მიყენებული იყო დარტყმა. ჩვენ ვხედავთ კომპოზიციისა და ბრძოლის ლოგიკურ დამთავრებას. ნოკდაუნში მყოფი მოწინააღმდეგე ეყრდნობა მარჯვენა ხელს, მისი კუნთები მოშვებულია, ის ალბათ შეძლებს ბრძოლის გაგრძელებას, მაგრამ მას შესვენება სჭირდება... სწორედ ეს საინტერესო მომენტი აქვს აღბეჭდილი ახალგაზრდა მოქანდაკეს. კომპოზიციური და სიუჟეტური ურთიერთკავშირი ისე დამაჯერებლადაა გადმოცემული, რომ მაყურებელი დარწმუნებულია ნაწარმოების რეალობაში.

იმავე ავტორის ღირსშესანიშნავი ნაწარმოებია სპორტის დამსახურებული ოსტატის დ. ციმაკურიძის სკულპტურული პორტრეტიც. ჩვენს წინაშე მოჭიდავის თავის ქანდაკებაა. იგრძნობა საბჭოთა სპორტსმენის ღონე და სიძლიერე, მოჭიდავისათვის დამახასიათებელი პლასტიკური ცხვირი, ყურები, სახისა და განსაკუთრებით კისრის განვითარებული კუნთები. აღსანიშნავია, რომ მოქანდაკემ ამორჩეულ თემაზე მუშაობისას სწორად გადაწყვიტა ამოცანა. ორივე ნამუშევარი ფირცხალავას მაღალმხატვრულ გემოვნებაზე მეტყველებს.

ახალგაზრდა მოქანდაკემ ბ. ყაზაიშვილმა თავის ნამუშევარში—„ახალგაზრდა ფეხბურთელი" ხაზი გაუსვა სპორტის მასობრიობას. ყაზაიშვილის მიერ გამოძერწილ ფეხბურთელს, რომელსაც სურს ღირსეულად შეცვალოს თავისი უფროსი ამხანაგები, ენერგიული სახე, მტკიცე გამოხედვა, ძლიერი და გაწვრთნილი სხეული აქვს. ყველაფერი ეს დამაჯერებლადაა გადმოცემული ნიჭიერი მოქანდაკის შემოქმედებაში.

„ბადროს მტყორცნელი" — ასე ჰქვია მოქანდაკე ნ. კანდელაკის სკულპტურას. ნამუშევარში გადმოცემულია ბადროს ტყორცნის საწყისი მომენტი. ადამიანის პლასტიკის კარგი ცოდნითაა ასახული სპორტის დამსახურებული ოსტატის ნ. დუმბაძის რთული და დინამიკური მოძრაობა.

მეტად მიმზიდველია ალპინიზმის ვეტერანის, სპორტის დამსახურებული ოსტატის ალ. ჯაფარიძის სკულპტურული პორტრეტი, რომელიც შესრულა მოქანდაკე ი. კრაწაშვილმა. ჭარმაგი ალპინისტი ქალის ამაყ და უშიშარ სახეზე აღბეჭდილია მშობლიური მთებისადმი სიყვარული...

სასურველია, რომ ჩვენი მხატვრები და მოქანდაკეები კიდევ უფრო დაინტერესდნენ სპორტული თემატიკით, კარგად შეისწავლონ ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების ცხოვრება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მხატვრები რატომღაც გატაცებულნი არიან სპორტის ხალხურ სახეობათა გადმოცემით, კერძოდ, ცხენოსნობით, ან სპორტსმენთა პორტრეტების ხატვით და გამოძერწვით. შემდეგისათვის კარგი იქნებოდა თუ არ დავივიწყებთ ფეხბურთს, კალათბურთს, მძლეოსნობას, კრივსა და კლასიკური სპორტის სხვა სახეობებს

• • •

სურათზე: გამოფენაზე ექსპონირებული ს. მაისაშვილის ნახატის „ისინდისა" და გ. გულისაშვილის ნამუშევრის „ცხენოსანთა შეჯიბრების" ფოტორეპროდუქცია.



სპორტის დამსახურებული ოსტატის დ. ციმაკურიძის სკულპტურული პორტრეტი. შესრულებული გ. ფირცხალავას მიერ.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებ

ბათუმი

ჩატარდა ბათუმის სკოლებ ველობა ჭადრაკში, შაშში, ფ ბასა და მაგიდის ჩოგბურთში.

ჭადრაკში ქალთა სკოლებს პირველი ადგილი დაიკავა მე- სულმა საშუალო სკოლამ. ვაჟთ ლებს შორის პირველი და მეორ გილები გაინაწილეს ლენინ ლობის ვაჟთა 1-ლი ქართული ლო და ძერჟინსკის სახელობ რუსული საშუალო სკოლის გუ მა.

შაშში პირველი ადგილი ქალთა მე-8 საშუალო სკოლამ, შორის გაიმარჯვა მე-3 რუსულ შუალო სკოლის გუნდმა.

მოფარიკავე ვაჟთა შეჯიბ ყველას აჯობა მე-3 რუსულმა ლო სკოლამ. მათვე გაიმარჯვე დის ჩოგბურთში.

გ. თარგამა

გორი

ვაჟთა I საშუალო სკოლის ტულ დარბაზში რვა დღეს მი რეობდა მოსწავლე კალათბურთ ასპარეზობა. ვაჟთა შორის ჩემ წოდებისათვის იბრძოდა 9 გ უკანასკნელ დღეს დაამარცხა რ სული საშუალო სკოლის პ გუნდი (57:38), ვაჟთა მეორე საშ სკოლის პირველმა გუნდმა პი ადგილი დაიკავა. მეორე ადგი მოვიდა რკინიგზის საშუალო ს პირველი გუნდი.

• • •

ქალთა და ვაჟთა 6-6 გუნდ წილეობდა ფრენბურთელთა ზობაში. როგორც ქალთა ის შორის ჩემპიონები გახდნენ რუ საშუალო სკოლის გუნდები (მ ლი ნ. დვალი).

ნ. ბერ

შუახევი

დამთავრდა შეჯიბრება ჭად შუახევის რაიონის 1954 წლის პირველობაზე. მონაწილეობდა 1 ჭადრაკე.

პირველი ადგილი და რაიონ პიონის წოდება მოიპოვა კ. („ისკრა"), რომელმაც 15 შე ლიდან 14,5 ქულა მოაგროვა. ადგილზე გამოვიდა გასულ ჩემპიონი ა. მაკარაძე („კოლმეუ აგი ერთი ქულით ჩამორჩა ვებულს, მესამეზეა ვეტერანი ღულაძე.

• • •

შუახევის საშუალო სკოლ კულტურის მოედანზე ჩატარ ლოსა და შუახევის რაიონების სმენთა ამხანაგური შეხვედრებ ბურთსა და კალათბურთში.

შუახეველმა ფრენბურთელ გარიშით 2:0 დაამარცხეს მ დიგეები. კალათბურთელთა ზობაში გამარჯვებული გ ხულის გუნდი.

შ. შა

ჩემპიონის დამარცხება

★

„დინამო“ (თბილისი) — ვ. მარღანია; ვ. ელოშვილი, ჯ. რუსაძე, ი. სარჯველაძე; რ. მახარაძე, გ. ანთაძე; ა. კოტრიკაძე, ქ. გაგნიძე, ზ. კალოევი, ა. ლოლობერიძე, ნ. თოდრია.

„სპარტაკი“ (მოსკოვი) — ვ. ტუჩკუსი; მ. ოგონკოვი, მ. სილიცკი, ი. სედოვი; ი. ტიმაკოვი, ნ. პარშინი (ა. ისაევი); ბ. ტატუშინი, ა. პარამონოვი, ნ. სიმონიანი, ნ. დემენტიევი, ა. ილინი.

★

სურათზე: თამაშის მომენტი „დინამოს“ კართან. მეკარე მარღანია იღებს ბურთს სიმონიანთან ბრძოლაში. უკანა პლანზე „დინამოს“ მცველები (მარცხნიდან მარჯვნივ) — სარჯველაძე, რუსაძე და ანთაძე.

ფოტო ს. ონანოვისა

აპრილის პირველ რიცხვებში თბილისის ფეხბურთის მოყვარულებს ორი სადარდელი ჰქონდათ — სტადიონის ბილეთი და ამინდი. ბილეთზე კი ბევრი ხელცარიელი დარჩა, მაგრამ ამინდმა თანაუგრძნო გულშემატკივრებს. წინა დღეების თოვლისა და წვიმიანი დარების შემდეგ 4 აპრილს — სსრ კავშირის ჩემპიონის მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩის დღეს — ცა დილიდანვე მოიწმინდა.

ზუსტად 3 საათსა და 30 წუთზე „პირამდე“ ავსებული სტადიონი ტაშით შეეგება ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გუნდებს მოსკოვის „სპარტაკსა“ და თბილისის „დინამოს“. ფეხბურთელებს წინ მოუძღოდნენ უფროსი მწვრთნელები, სპორტის დამსახურებული ოსტატები, სპარტაკელი ვ. სოკოლოვი და დინამოელი ბ. პაიჭაძე. ეს ორი განთქმული ფეხბურთელი თავის დროზე უშუალოდ ებრძოდნენ მწვანე მინდორზე ერთმანეთს— სოკოლოვი ცენტრალური მცველი იყო, ხოლო პაიჭაძე — ცენტრალური თავდამსხმელი. ისინი დღესაც სპორტული მეტოქეები არიან. ორივენი საგანგებოდ ამზადებდნენ თავის კოლექტივებს ამ საპასუხისმგებლო შეხვედრისათვის.

საკავშირო კატეგორიის მსაჯის ე. [illegible] სასტვენზე თამაში დაიწყო. უკვე პარამონოვმა დაარტყა კარში, მაგრამ მარღანიამ აიღო ბურთი, მერე მეკარისგან მოწოდებული ბურთი სწრაფად გათამაშდა გაგნიძე-ლოლობერიძე-კოტრიკაძის შორის. სედოვმა თავის პირით ხაზს იქით მოიგერია ბურთი და კოტრიკაძის მიერ მოწოდებული კუთხური მაღალ ნახტომში აიღო ტუჩკუსმა.

პირველი თავბრუდამხვევი იერიშები, ეტყობა, ორივე გუნდმა მეტად სარისკოდ ჩათვალა ამ საპასუხისმგებლო შეხვედრისათვის და თამაში უფრო „ზომიერ“ კალაპოტში ჩადგა. როგორც სტუმრები, ისე მასპინძლები ფრთხილობდნენ, ფხიზლად დარაჯობდნენ მოწინააღმდეგეს, თამაშობდნენ მოკლე გადაცემებით. საგრძნობი იყო მათი ნერვიულობა.

[illegible] ურთიერთ შეტევების შემდეგ ინიციატივა ხელთ აიღო „დინამომ“. თამაში ძირითადად მარჯვენა მხრიდან წარიმართა. გაგნიძე და კოტრიკაძე მოკლე, სწრაფი გადაცემებით ხშირად გადიოდნენ გარღვევაზე, მათ აქტიურად უმაგრებდა ზურგს მახარაძე და ხშირად ელოშვილიც. თამაშის მთელმა სიმძიმემ კარგა ხნით „სპარტაკის“ საჯარიმო მოედნის მარცხენა კუთხის არეში გადაინაცვლა, მაგრამ „დინამოს“ შეტევამ ამ ხნის განმავლობაში ერთფეროვანი და სტანდარტული ხასიათი მიიღო და მოსკოველებმა იოლად მოძებნეს მისი უვნებელყოფის გზა. ვინაიდან ლოლობერიძე და თოდრია თითქმის სრულიად იყვნენ გამოთიშული თამაშიდან, ხოლო კალოევი ეპიზოდურად მოწოდებულ ბურთებს ჰკარგავდა. სილიცკიმ, ოგონკოვმა და ტიმაკოვმა მარცხნივ გადმოინაცვლეს და ჩაკეტეს მისასვლელები კარისკენ. ხუთივე სპარტაკელ მცველს კარგად აქვს დაზუსტებული კავშირი ერთმანეთთან და დაზღვევა, ძლიერად თამაშობს მათი ახალი ცენტრალური მცველი სილიცკი.

დინამოელებმა დროზე ვერ მოძებნეს შეტევის სხვა ვარიანტი და თამაში მათ ნახევარზე გადმოვიდა. „სპარტაკის“ თავდამსხმელები მოედნის მთელ სიგანეზე გაიშალნენ. ისინი კარის უშუალო სიახლოვეს იშვიათად გადიოდნენ, რადგან „დინამოს“ მცველები ინდივიდუალურ ბრძოლაში ძლიერები იყვნენ.

მე-19 წუთზე სწრაფი ტატუშინი გაიჭრა წინ და მარცხნივ ჩააწოდა. ილინის მიერ დარტყმული ბურთი ოდნავ აცდა კარს.

ტაიმის დასასრულს თბილისელებმა ისევ მარჯვენა ფრთიდან შეუტიეს. გაგნიძე რამდენიმე მცველს შორის მოექცა, მაგრამ მაინც მოახერხა კართან გასვლა. წაქცეულმა სედოვმა უკანასკნელ საშუალებას მიმართა და ბურთი ხელით დაიჭირა. 11-მეტრიანი საჯარიმო გაიტანა ლოლობერიძემ — 1 : 0.

მეორე ნახევარი ისევ „დინამოს“ შეტევით დაიწყო. ამჯერად იერიშს უფრო მრავალფეროვანი ხასიათი ჰქონდა, მასში მარცხენა ფრთაც ჩაება, თავდასხმაში ჩაებნენ ანთაძე და მახარაძე, სრული ძალით ამოქმედდა ლოლობერიძე.

სტუმართა დაცვა მოფიქრებულად და ზუსტად თამაშობდა, მათ შეძლეს შეტევის მოგერიება და მალე თამაში მოედნის შუაგულში გადაიტანეს, სადაც შესანიშნავად თამაშობდა დემენტიევი. მალე მან გარღვევაზე გაიყვანა სიმონიანი. მოსკოველთა ცენტრალური თავდამსხმელი პირისპირ გავიდა მარღანიასთან, მაგრამ დროზე ვერ მოირგო ბურთი და ელოშვილმა ზედ კარის წინ ააცალა იგი.

მე-14 წუთზე ტატუშინი გადაცემის მოლოდინში წინ გაიჭრა და ბურთი თამაშგარე მდგომარეობაში მიიღო. საარი ბურთს ჩამორჩა და ვერ შეამჩნია ეს მდგომარეობა (თუმცა გვერდითმა მსაჯმა ვ. შავდიამ ნიშანი დროზე მისცა). ტატუშინმა ნელი დარტყმით ანგარიში გაათანაბრა — 1:1.

წარმატების შემდეგ „სპარტაკი“ კიდევ უფრო გააქტიურდა. მოსკოველები კარგად არიან შეთამაშებული, ესმით ერთმანეთის, კომბინაციები სრულდება სწრაფ ტემპში. მეტად სახიფათოდ თამაშობენ გარემარბები ტატუშინი და ილინი.

მატჩი დასასრულს უახლოვდებოდა. გაისმა გონგის ხმაც. თითქოს შეხვედრის შედეგი გარკვეული იყო, მაგრამ 88-ე წუთზე ლოლობერიძემ მიიღო ბურთი და გავიდა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე. აქ ტუჩკუსმა ვერ ითამაშა სწორად, ბურთი ხელიდან გაუშვა. ლოლობერიძის დარტყმა მოხვდა ძელს და მარცხნივ ასხლტა. კალოევმა მოუსწრო ბურთს და ძლიერი დარტყმით ბადეში გაგზავნა. თბილისელებმა მატჩი მოიგეს ანგარიშით 2:1.

რა გვიჩვენა პირველმა შეხვედრამ? რა თქმა უნდა, ჯერ ძნელია მსჯელობა გუნდების საერთო კლასზე, მაგრამ ზოგიერთი ნაკლოვანება თვალსაჩინო იყო მაყურებელთათვის. ფეხბურთელები თამაშობენ სწრაფად, მაღალ ტემპში, მაგრამ ხშირად კარგავენ ბურთს, არაზუსტად აწოდებენ ერთმანეთს, დროზე არ გადიან თავისუფალ ადგილზე. თუ უწინ ლაპარაკი იყო კარში არაზუსტ დარტყმებზე, ახლა ამას დაემატა ის, რომ კარში დარტყმების რიცხვი მინიმუმამდე შემცირდა. მარღანია და ტუჩკუსი ხშირად უსაფუძვლოდ ღელავდნენ — ორივე გუნდის თავდამსხმელები მათთვის „ვერ იმეტებდნენ“ ბურთს.

• • •

5 აპრილს „დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა“ და თბილისის „დინამოს“ დუბლიორები. გაიმარჯვეს მოსკოველებმა — 2 : 1.

რ. ქორიძე

სურათზე: ქ. გაგნიძე თავით აგზავნის ბურთს მოწინააღმდეგის კარისკენ. მისგან მარცხნივ სილიცკი და ლოლობერიძე.

ფოტო მ. ზარეცკიძისა

„ა“ კლასის ოსტატთა მატჩები

„დინამო“ (კიევი) — „დინამო“ (მოსკოვი)

4 აპრილს სსრ კავშირის პირველობაზე კიევის ნ. ს. ხრუშჩოვის სახელობის სტადიონზე გაიმართა პირველი ტურის მატჩი. თამაშობდნენ „დინამოს“ მოსკოველი და კიეველი თანაკლუბელები.

90 წუთის განმავლობაში ორივე გუნდმა თითო ბურთი გაიტანა და შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (მინსკი)

ეს ორი გუნდი ერთმანეთს შეხვდა ბაქოს რესპუბლიკურ სტადიონზე. თამაში დამთავრდა ფრედ — 0 : 0.

• • •

„ლოკომოტივი“ (ხარკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი)

ამ დღეს მატჩი შედგა ხარკოვშიც. ადგილობრივი „ლოკომოტივი“ ეთამაშა მოსკოვის „ტორპედოს“. მოსკოველებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრა და გაიმარჯვეს, ანგარიშით 4:1.

• • •

ცდსა — „ტორპედო“ (გორკი)

5 აპრილს კიევში ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლისა (მოსკოვი) და გორკის „ტორპედოს“ ფეხბურთელები.

მატჩის ანგარიშია 1 : 1.

წერილი რედაქციას

სტადიონზე წესრიგი უნდა დამყარდეს

ცნობილია ის უდიდესი ინტერესი, რასაც საბჭოთა მშრომელები იჩენენ ფიზკულტურასა და სპორტზე. განსაკუთრებული სიყვარულით სარგებლობს სპორტის ერთ-ერთი, ყველაზე მასობრივი სახეობა — ფეხბურთი. ამიტომ გულისტკივილით აღვნიშნავთ, რომ ჩვენ, ფეხბურთის მრავალრიცხოვან მაყურებლებს საშუალება არა გვაქვს ამ წარმტაც ასპარეზობას ნორმალურ პირობებში ვუყუროთ.

სწორედ ასეთი მდგომარეობა შეიქმნა ჩვენთვის 4 აპრილს თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკის“ მატჩზე.

რა იყო ამის მიზეზი?

დასაჯდომი ადგილების აბსოლუტური უმრავლესობა „განაწილდა“ და ბილეთები სალაროში არ იყიდებოდა. რასაკვირველია, დასაჯდომი ადგილების განსაზღვრული რაოდენობის განაცხადებით განაწილება მიზანშეწონილია, მაგრამ ყოვლად დაუშვებელია ის, რომ განაცხადებზე ბილეთების გაცემის შესახებ განკარგულებას იძლეოდნენ თამაშის წინა დღით. მაგრამ ვისაც ეს ბედნიერება წილად ხვდა, მისთვის სალაროში ბილეთი არ აღმოჩნდა (!) რა ფასი აქვს ასეთ რეზოლუციას?

სრულიად მოუწესრიგებელი იყო სტადიონზე ბილეთის მქონე მოქალაქეთა შეშვება. ვინც შეძლო და კარებთან გაარღვია მოზღვავებული ხალხის ტალღა, მან საკუთარ ადგილამდე ვერ მიაღწია, რადგანაც სტადიონის კიბეები სავსე იყო შესასვლელი ბილეთების მქონე მაყურებლებით. ცხადია, ამ დღეს სტადიონის დირექციამ დიდი „გულუხვობა“ გამოიჩინა და ალბათ, შესასვლელი ბილეთები განუსაზღვრელი რაოდენობით გაჰყიდა.

4 აპრილის მატჩზე, როგორც მოსალოდნელი იყო, ადგილი ჰქონდა მაყურებელთა მოზღვავებას და სტადიონის დირექცია წესრიგს მარტო ვერ დაიცავდა — ეს უდავოა. მაგრამ ისიც უდავოა, რომ მიუხედავად დიდი ცდისა, თბილისის მილიციამ მაინც ვერ უზრუნველყო მაყურებელთა ორგანიზებულად შეშვება სტადიონზე.

იმისათვის, რომ მსგავსი შემთხვევა არ განმეორდეს და მშრომელებს შევუქმნათ ფეხბურთის თამაშის ნორმალური ყურების საშუალება, ჩვენის აზრით საჭიროა: განაცხადებზე ბილეთების გაცემა დამთავრდეს შეჯიბრების 2-3 დღით ადრე. ბილეთების 30 პროცენტი მაინც გაიყიდოს თავისუფლად სალაროებში 1-2 დღით ადრე, შესასვლელი (ფეხზე დასადგომი) ბილეთების გაყიდვა განისაზღვროს სტადიონის რეალურ ტევადობასთან შეფარდებით, შესასვლელი ბილეთების მქონე მაყურებლებისათვის მიჩნეული იქნას გარკვეული ადგილი.

ქალაქის მილიციამ სტადიონის დირექციასთან ერთად უნდა შეიმუშაოს მაყურებლის სტადიონზე შეშვების მტკიცე წესი. მილიციის მუშაკები მაყურებელს კონტროლიორის ცხვირის წინ კი არ უნდა მოუწოდებდნენ წესრიგისაკენ, არამედ წესრიგი დაცულ უნდა იქნას შესასვლელთან მისვლამდე.

საჭიროა აგრეთვე თვით სტადიონზე გამოყოფილ იქნან წესრიგის დამცველები, რომლებიც მოქალაქეებს ბილეთის მიხედვით მიუჩენენ დასაჯდომ ადგილს და ამასთან აღკვეთენ გასასვლელებში დგომასა და ჯდომას.

თბილისის სტადიონზე შეიძლება წესრიგის დამყარება და იგი უნდა დამყარდეს მაყურებლისა და სტადიონის დირექციის ურთიერთ კავშირით.

ვ. გოგუაძე ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, **ს. ჩხიკვიშვილი** საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, **შ. ღლონტი** ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი, **ნ. იობაშვილი** ფარმაცევტულ მეცნიერებათა კანდიდატი, **რ. სხილაძე, ნ. გუკასოვი, ა. ქვიტაშვილი.**

რედაქციისაგან: ამ წერილს გარდა რედაქციაში მრავალი წერილი შემოვიდა, რომლებშიც მეცნიერი მუშაკები, სტახანოველები, სტუდენტები და მოსწავლეები გამოთქვამენ თავიანთ აზრს სტადიონზე წესრიგის დამყარების შესახებ. ამხანაგები შენიშნავენ რომ მიმდინარე წელს კიდევ მრავალი საინტერესო შეჯიბრება უნდა ჩატარდეს, ამიტომ საჭიროა ახლავე იქნას მიღებული გადამწყვეტი ზომები.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ სტადიონზე წესრიგის დამყარება მარტო სტადიონის დირექციისა და მილიციის საქმე როდია. საჭიროა ამ საქმეში თავიანთი წვლილი შეიტანონ მოქალაქეებმაც. მათ უნდა მოუწოდონ, ძირშივე აღკვეთონ უდისციპლინო პიროვნებათა უმსგავსო საქციელი, რაც ხელს უშლის საერთოდ ყოველივე ასპარეზობის ნორმალურ მსვლელობას.

გუნდების შემადგენლობა

„ა“ კლასი

„სპარტაკი“ (მოსკოვი)

უფროსი მწვრთნელი — ვ. სოკოლოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მწვრთნელი — ა. დანგულოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მეკარეები: მ. პირაევი, ვ. ტუჩკუსი, ვ. ჩერნიშევი. **დაცვა:** ვ. ვახილიევი, მ. ოგონკოვი, მ. პერევალოვი, მ. სილიცკი, ი. სედოვი, ი. სოკოლოვი, ნ. ტიშჩენკო, ნ. ხრომიშევი. **ნახევარდაცვა:** ა. ბაზრციანი, ა. მასლენკინი, ვ. მოროზოვი, ი. ნეტო, ნ. პარშინი, ი. ტიმაკოვი. **თავდამსხმელები:** ვ. აგაპოვი, გ. ვოზჟაევი, ნ. დემენტიევი, ა. ილინი, ა. ისაევი, ა. პარამონოვი, ა. რისცოვი, ნ. სიმონიანი, ბ. ტატუშინი, ე. ფროლოვი.

„დინამო“ (თბილისი)

უფროსი მწვრთნელი — ბ. პაიჭაძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მწვრთნელი—მ. მინაევი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მეკარეები: შ. კიტია, ვ. სანაია, ვ. მარღანია. **დაცვა:** ნ. გოგლიძე, ჯ. რუსაძე, ი. სარჯველაძე, ვ. ელოშვილი. **ნახევარდაცვა:** გ. ანთაძე, ნ. გაგნიძე, ა. კილაძე, რ. მახარაძე, დ. სანოძე. **თავდასხმა:** ი. აფხაზავა, მ. აჟიბა, ი. ვარდიმიადი, ქ. გაგნიძე, ა. ლოლობერიძე, ა. კემულარია, ი. კურტანიძე, ა. კოტრიკაძე, ზ. კალოევი, გ. ხოჭოლავა, ნ. ცაგარეიშვილი, ო. ოთარაშვილი, ნ. თოდრია.

„ტორპედო“ (მოსკოვი)

უფროსი მწვრთნელი — ნ. მოროზოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატი.

მეკარეები: ო. მიხაილოვი, ი. პეტროვი, ბ. შმაკოვი. **დაცვა:** ა. არხიპოვი, მ. ბიჩკოვი, ა. გომესი, ვ. მარენკო, ლ. სამოხინი, ლ. ტარასოვი, ბ. ხრენოვი. **ნახევარდაცვა:** ვ. კოპლუსი, ბ. საფრონოვი, ნ. სენიუკოვი, ი. ჩაიკო. **თავდასხმა:** ა. ანისიმოვი, ვ. არბუტოვი, ი. აქსენოვი, ვ. ვარაკსინი, ვ. ვაცკევიჩი, ა. გულევსკი, ი. ზოლოტოვი, ა. ილინი, ვ. ივანოვი, ვ. ნეჩაევი, ე. სტრელცოვი, ვ. სოლოვიოვი, ი. ჩერნეცოვი.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

საინტერესო წიგნი

ღარიბია ჩვენი სპორტული სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა. ნაკლებად იბეჭდება წიგნები, პოპულარული ბროშურები, მეთოდური სახელმძღვანელოები, ნარკვევები მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივების გამოცდილებებზე და სხვ. ამ ხარვეზების შევსებას ცდილობს მ. მაისურაძე თავის შრომაში „მოძრავ თამაშობათა ჩატარების მეთოდიკა", რომელიც განკუთვნილია ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტებისათვის.

მ. მაისურაძე თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის თეორიისა და ისტორიის კათედრის უფროსი მასწავლებელია. ავტორს აღნიშნული შრომა დაუწერია იმ პედაგოგიურ დაკვირვებათა საფუძველზე, რომელსაც იგი აწარმოებდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა მიერ ჩატარებულ მოძრავ თამაშობებზე.

წიგნი ეხება მეტად აქტუალურ საკითხს, რომელიც ქართულ სასწავლო-მეთოდურ ლიტერატურაში ნაკლებადაა დამუშავებული. ავტორს შეუკრებია, შეუსწავლია და განუზოგადებია ლიტერატურული მასალა მოძრავ თამაშობათა ჩატარების საკითხებზე. ამ მხრივ წიგნს აქვს გარკვეული მნიშვნელობა ფიზიკური აღზრდის თეორიისა და პრაქტიკისათვის. ნაშრომის ხვედრითი წონა მით უფრო მატულობს თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ საბჭოთა პედაგოგიკა დიდ შეფასებას აძლევს მოძრავ თამაშობებს, როგორც ფიზიკური აღზრდის ერთ-ერთ საშუალებას.

ავტორი წიგნს როდი იწყებს უშუალოდ მოძრავი თამაშობების აღწერითა და ჩატარების მეთოდიკით. იგი წიგნის პირველ და მეორე თავში იძლევა თამაშის არსის მატერიალისტურ გაგებასა და თამაშობათა აღმზრდელობით მნიშვნელობას. ეს თავები თეორიულ ხასიათს ატარებენ, განსაკუთრებით პირველი, რომელშიც ავტორი მიმოიხილავს ბურჟუაზიული თეორეტიკოსების სპენსერის, შილერის, მიულერის, გრომისა და სხვათა შეხედულებებს თამაშის შესახებ და იქვე, სალი პრინციპული კრიტიკით ააშკარავებს მათ იდეალისტურ პოზიციებს. როგორც ცნობილია, ბურჟუაზიული მეცნიერები თავიანთ თეორიას თამაშის შესახებ აგებდნენ ბიოლოგიზაციის საფუძველზე და თამაშს განიხილავდნენ როგორც ჭარბი ენერგიის გამოვლინების ფორმას.

ისინი მხედველობიდან უშვებდნენ თამაშობების სოციალურ არსს და ივიწყებდნენ, რომ თამაშის აღმოცენების მიზეზი უნდა ვეძიოთ გარემო მატერიალურ პირობებში და არა ინსტინქტებსა და ძალის სიჭარბეში.

ავტორი ეხება თამაშობების აღმზრდელობით მნიშვნელობებს და მოჰყავს საბჭოთა პედაგოგიკის ფუძემდებლების ნ. კრუპსკაიასა და ა. მაკარენკოს, აგრეთვე მაქსიმ გორკის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველასა და სხვათა შეხედულებები, რაც ზოგჯერ, საკმაოდ ვრცლად აქვს ამოწერილი და ამიტომ მათ არ შევეხებით. ეს ადამიანები დიდ შეფასებას აძლევდნენ თამაშობებს, უაღრესად სწორად განსაზღვრავდნენ მათ აღმზრდელობით ხასიათს. ამავე თავში ავტორი სხვა თამაშობებისაგან ასხვავებს მოძრავ თამაშობებს და აღნიშნავს ამ უკანასკნელის უპირატესობას.

მ. მაისურაძე როდი სჯერდება მარტო მსჯელობას. იგი პედაგოგს აწვდის საქმიან წინადადებებს, პირადად მის მიერ შემოწმებულ დარიგებებსა და ჩვევებს. ყოველი თამაშის დახასიათების დროს, გარდა იმისა, რომ იძლევა მისი ჩატარების მეთოდიკას, მხედველობაში იღებს მოსწავლის ასაკობრივ თავისებურებებს, რაც მას საშუალებას აძლევს ზუსტად განსაზღვროს, თუ რომელი ასაკის ბავშვს როგორი თამაშობები შეესაბამება. თუ კი შრომის ეს ნაწილი ყველაზე მეტად ამართლებს თავის მიზანდასახულობას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორი ყოველთვის ითვალისწინებს ბავშვის ბუნებას, ხასიათსა და მისწრაფებებს.

ნაშრომს დადებით მხარეებთან ერთად აქვს ნაკლიც. კერძოდ, წიგნში ლაპარაკია ბურჟუაზიულ მეცნიერებზე, მაგრამ არსად არ არის თქმული მათი ვინაობის შესახებ. ასევე გარკვევას მოითხოვს შრომაში დასახელებული ხალხების — ბაგობასების, ჩუქჩების და სხვათა სადაურობა.

წიგნის მეორე თავი ტოვებს სქემატურ ხასიათს, რაც ჩვენის აზრით, გამოწვეულია ციტატების გადაჭარბებული მოყვანით. მერვე გვერდზე ავტორი სარგებლობს 1948 წელს გამოცემული წიგნიდან, ხოლო გამოყენებული ლიტერატურის სიაში, რაც წიგნს ბოლოს ერთვის, აღნიშნულია იგივე წიგნის 1942 წლის გამოცემა.

აღსანიშნავია აგრეთვე, წიგნის დაბალი ტექნიკური ხარისხი. კარგი იყო „სახელგამი" მეტი მზრუნველობით მოჰკიდებოდა ამ საქმეს, ყოველ შემთხვევაში, გაეკეთებინა კარგი, ილუსტრირებული ყდა და წიგნისათვის დაერთო მოძრავ თამაშობათა მომზადებისა და ჩატარების სქემა.

მ. მაისურაძის ზემოაღნიშნულ წიგნში მოძრავი თამაშობებით დაინტერესებული მკითხველი იპოვნის ბევრ სასარგებლო პრაქტიკულ რჩევა-დარიგებას, რომლის გამოყენებაც განსაკუთრებით დიდ დახმარებას გაუწევს ფიზკულტურის მასწავლებლებსა და სტუდენტებს.

გ. დარსაძე



ხალისით მომაგონდება
ოთხი აპრილი მზიანი,
ფეხბურთის მოყვარულებმა
თუმც მომაყენეს ზიანი, —
მაგრამ არ ვჯავრობ, რადგანაც
შინ მხიარული დავბრუნდი,
ამ დღეს ერთმანეთს ხვდებოდა
ძლიერ ოსტატთა რვა გუნდი.
მოსკოვმაც გვამცნო შეხვედრის
მოგებაში თუ წაგება,
გავმხიარულდი, დამჭირდა
კალმისტრის ხელში აღება;
ახლოს მივედი ცხრილთან და
ჩემს მაგიდაზე შევდექი,
აღტაცებულმა ჩავწერე
ამ შეხვედრების შედეგი.
ხუთიანს — შვილებს ვუსურვებ, —
მათ სახელს ვეთაყვანები,
ჩვენ კი გვიმრავლოს მარადჟამს
ასეთი ორიანები!

ლექსი ქ. გელათელისა
ნახატი ი. ველიხიძისა

ამას წინათ მოსკოვში ჩატარდა სსრ კავშირის უძლიერეს ჩოგბურთელთა შეჯიბრება. ქალთა შორის პირველი ადგილი მოიპოვა ნ. ბელონენკომ, ვაჟებიდან უძლიერესი იყო ს. ანდრეევი.

• • •

სურათზე: შეჯიბრებაში გამარჯვებულნი ნ. ბელონენკო (ზევით) და ს. ანდრეევი.

ჭაბუკთა ასპარეზობა

დამთავრდა ბათუმის პირად-გუნდური პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში, რომელშიც მონაწილეობდა საშუალო სკოლების 7 ნაკრები გუნდი. გუნდური პირველი ადგილი დაიკავა პირველი ვაჟთა ქართული საშუალო სკოლის კოლექტივმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ: ზ. ჩხაიძე, ო. დავითაშვილი, გ. დვალი, რ. დოლიძე, ა. ხვიჩია, რ. აბაშიძე, ო. მექვაბიშვილი და ა. დიასამიძე.

პირად პირველობაში ქალაქის ჩემპიონები ჭაბუკთა შორის გახდნენ უმჩატეს წონაში უ. ტაბალუა, მჩატეში — შ. ხოჭოლავა, ქვემსუბუქში — ა. დოლიძე, მსუბუქში — ა. ლაშხი, ქვესაშუალოში — რ. დოლიძე, საშუალოში — პ. ქანთარია, ქვემძიმეში — ი. ტუღუში, და მძიმე წონაში — ა. დიასამიძე.

გ. თარგამაშვილი

ფაბრიკის ჩემპიონატი

მახარაძის აბრეშუმ ძაფსალებ-საგრეხი ფაბრიკის 1954 წლის საჭადრაკო პირველობაში მონაწილეობა მიიღო 15 მოჭადრაკემ.

შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა საამქროს უფროსმა მეორეთანრიგოსანმა ა. კალანდაძემ, რომელმაც დააგროვა 12,5 ქულა. მეორე ადგილზე გამოვიდა შ. ვაშალომიძე — 11 ქულა, მესამეზე — პ. ანდღულაძე.

გამარჯვებულები ფაბრიკის ადმინისტრაციამ ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

ს. გუგუნავა

მ. ბოტვინიკ – ვ. სმისლოვის მატჩი

3 აპრილს გათამაშდა მეცხრე პარტია. სმისლოვმა, რომელიც თეთრებით თამაშობდა ფრანგულ დაცვაში გამოიყენა ახალი თეორიული გაგრძელება. ბოტვინიკი ვერ გაერკვა სმისლოვის ჩანაფიქრის სიღრმეში და მძიმე პოზიციის წინაშე აღმოჩნდა. სმისლოვმა მხედრისა და ეტლის შეთანხმებული მანევრით მოამზადა კომბინაცია ლაზიერის დროებითი შეწირვით. ამ კომბინაციის განხორციელებით სმისლოვმა მოიპოვა გამარჯვება.

ამრიგად მეცხრე პარტიის შემდეგ მატჩის ანგარიშია 5:4 ბოტვინიკის სასარგებლოდ.

ქვემოთ მოგვყავს მეცხრე პარტია.

• • •

ვ. სმისლოვი — მ. ბოტვინიკი

ფრანგული დაცვა

1. e4 e6 2. d4 d5 3. მc3 კb4 4. e5 c5 5. a3 კa5 6. b4 cd 7. ლg4 (მატჩის პირველ და მესამე პარტიაში სმისლოვი აქ თამაშობდა 7. მb5-ს და კc7 8. f4 მe7 9. მf3 მbc6 10. კd3 კb8 შემდეგ ვერ აღწევდა უპირატესობას. სმისლოვის ახალი სვლა თამაშს მეტად ამწვავებს) 7. ... მe7 (თუ 7. ... dc, მაშინ 8. ლ:g7 მოგებით) 8. ba (ეს უეჭველია ვიდრე 8. ლ:g7 ეg8 9. ლ:h7 კc7 10. მb5 კ:e5 და შავებისათვის კარგი თამაშით) 8. ... dc 9. ლ:g7 ეg8 10. ლ:h7 მd7 11. მf3 მf8 12. ლd3 ლ:a5 13. h4 (ამ სვლით სმისლოვი ხაზს უსვამს თავის უპირატესობას, რომელიც ძირითადად გამსვლელ პაიკში მდგომარეობს) 13. ... კd7 14. კg5 (ამით თეთრები ხელს უშლიან შავების გრძელ როქს) 14. 15. მd4! ეf8 16. მb5 და მd6X მუქარის გამო ეb1 ეc4? (შეცდომა, რომლის შე მხოლოდ ჩემპიონი სწრაფად ჯობდა მ:d4 17. ლ:d4 ეc7 ამის შემდეგაც თეთრების უპირა ბა ეჭვს გარეშეა)



17. მ:f5 (საინტერესო კომბინ დასაწყისი) ef 18. ე:b7 ეc4+ ლ:e4! (ბოტვინიკისათვის მოუ ნელი შეწირვა. როგორც ჩანს მა შეამჩნია სმისლოვის 21-ე სვლ 20. ეb8+ კc8 21. კb5+! (ლაზ ბინაციის დამასრულებელი კომ გაგრძელდა 21. ე:c8+ მd7 22. მეc7 და თეთრების მოგება სა ახლა სმისლოვი იბრუნებს ლა და იგებს ხარისხს) ლ:b5 (თუ 21 მd7, მაშინ 22. ე:c8X) 22. მe6 23. კf6 ე:g2 24. h5 კ h6 და პაიკი დაუბრკოლებლ ლაზიერში. ამის გამო ბოტვინ შეწყვიტა წინააღმდეგობა და ნებდა.

მოჭადრაკე ქალთა ნახევარფინალი

მეორე ტურში ჩინებულად ჩაატარა პარტია ნაგელთან (ტაჯიკეთი) ნახევარფინალის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილემ ხაჰაპურიძემ. მეფის გამბიტში უკვე მე-12 სვლაზე მან დაატყვევა მოწინააღმდეგის ლაზიერი, რის შემდეგ ნაგელმა დათმო პარტია.

გურგენიძემ, რომელიც შავებით თამაშობდა ელისკაიასთან, მხოლოდ ენდშპილში გადასვლისას თავი დააღწია მძიმე მდგომარეობას. გამსვლელი პაიკის შექმნით და მისი წინსვლით გურგენიძემ გაიმარჯვა.

მაშინ, როცა სემიონოვას ეტლი კარგად პოზიცია მე-7 ჰორიზონტალზე დამკვიდრდა, აშკარა გახდა ლეონნიკოვალის უპირატესობა. მალე სემიონოვამ მიიგო ხარისხი. კარგავა დანებდა.

დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მესამე ტურში საერთო ყურადღება მიიქცია ხაჰაპურიძის შეხვედრამ უკრაინის ხუთგზის ჩემპიონ კოგანთან. ესპანურ პარტიაში ახალგაზრდა მოჭადრაკე მწვავე ვარიანტს არჩევს. დაძაბულ ბრძოლაში ხაჰაპურიძემ მოიგო ფიგურა. პარტია გადაიდო. მონაწილეები, მაყურებლები და თვითონ კაჰაპაძეც ხედავენ, რომ მისი პოზიცია კარგვასთან მეტად მძიმე იყო. დაკვირვებული თამაშით საქართველოს ჩემპიონი ცენტრის დროზე დარტყმით ხელთ იგდებს ინიციატივას. არავის ეჭვი არ ეპარებოდა კაჰაპაძის გამარჯვებაში — იგი ორ ფიგურაში მეტი იყო. მაგრამ მან მეტად უხეში შეცდომა დაუშვა, ჩავგო ფიგურა და სამმათო ქსელში გაება. კაპაძემ პარტია დათმო.

სიცილიურ დაცვაში ალ მოიპოვა გურგენიძემ მძლავრ თის ქვეშ. მოხდენილი კომბ გურგენიძემ მოიგო ფიგუ შემდეგ მარცხა ნაგელი.

გადადებული პარტიების რების დღეს სემიონოვამ ლან უნარიანი დაცვით ფრო. მეორე გადადებულ ფილონოვსკაიასთან სემიონოვამ ხოლოდ გამოიყენა თავისი უკეთესი განლაგება და

პირველი ტურიდან გამ კოგან-ალექსეევსკაიას პარტიამ რებმა სიცილიურ დაცვაში მე-13 სვლაზე მოიგეს ხარ თამაშში ჩატარებული კომბ კოგანმა გაიგდო მატერიალურ რატესობა. 39-ე სვლაზე ალე იმ გადაიცვალა მოფიქრები განკუთვნილ დროს და წაგება სა.

გურგენიძე-ლომოვატსკაიას ხვედრა მწვავედ მიმდინარ ლომოვატსკაია ლამაზი კომბ ერთ სვლაში იგებს პარტიას, რომ შეედა და დამარცხდა.

სამი ტურის შემდეგ წინ ი. გურგენიძე — 3 ქულა, მიონოვა — 2,5 ქულა და პირიძე — 1,5 და ერთი მდგომარეობაში გადადებულ ტია.

შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში

ფიზკულტურის ცენტრალური სახლის დარბაზში დამთავრდა თბილისის უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების გუნდური შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში.

უმაღლესი სასწავლებლების გუნდებს შორის პირველი ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, მეორე ადგილზე გამოვიდა რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის, მესამეზე — უცხო ენათა ინსტიტუტის გუნდები.

ტექნიკუმებს შორის გამ ტოპოგრაფიულმა ტექნიკუმმ მა. აღსანიშნავია, რომ თბი სახელმწიფო უნივერსიტეტ გიდის ჩოგბურთელთა გუნდ ს ადგილი დაიკავა, მაშინ, წინა შეჯიბრებებში ყოველ პრიზო ადგილებზე გამოდიოდ

შ. შუშ

რედაქტორი ი. უგულ

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-84, მორიგესა და გამომშვების — 3-88-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 00